ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
სამსახურის მიერ 2022 წელის 6 თვეში ჩატარებული სამუშაოს

ა ნ გ ა რ ი შ ი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური წარმოადგენს იმუნოპროფილაქტიკური მართვის მეორე დონეს, სადაც ხდება რაიონის იმუნოპროფილაქტიკური მდგომარეობის ანგარიშების შეჯამება, ანალიზი და გადაწყვეტილებების მიღება სამიზნე კონტიგენტის ვაქცინაციით მართვადი დაავადებებისგან დაცვის გაძლიერების მიზნით.

აწარმოებს ვაქცინებით მომარაგებას, მათ შენახვას და გაცემას რაიონში არსებულ 14 საექიმო ამბულატორიაზე და ,,არქიმედეს'' კლინიკაზე.

რაიონი ვაქცინებით მარაგდებოდა დროულად, შეფერხების გარეშე.ცივი ჯაჭვის სისტემა მუშაობდა გამართულად.

ა/წ 6 თვეში ლაგოდეხის რაიონში პროფ.აცრების გეგმა ვაქცინაციის ცალკეულ სახოებათა მიხედვით შესრულდა შემდეგი შედეგებით:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულება%
1	ბცჟ(სამშობიაროში 0-5 დღ)	430	220	51%
2	„ბ“ ჰეპ(სამშ-ში-12სთ-მდ)	430	114	50%
3	ჰექსა-3 წ-მდე	457	228	50%
4	როტა-2 წ-მდე	457	183	40%
5	პნევმო-3 წ-მდე	457	216	47%
6	ტეტრა-1(1წ.6თვის)	467	242	52%
7	ტეტრა-2(5-წლის)	508	226	45%
8	ტდ-14 წლის	557	174	32%
9	აპვ -2 (14-წლამდე)	295	86	29%
10	წწყ-1 (1წლის)	457	221	48%
11	წწყ-2 (5 წლის)	508	227	46%
12	აპვ-1 (9- წლის)	268	174	65%

მოცვის % დამაკმაყოფილებელია ყველა ვაქცინისათვის,გამონაკლისია ტდ და პაპილომა ვაქცინით ვაქცინაციების % (32, 33, და29%), ეს არის უფროსი სასკოლო ასაკის კონტიგენტი, რომლებიც ძნელად მისაწვდომნი არიან, მათი აცრები ამოიქაჩება სექტემბერში სწავლის დაწყებისთანავე.

მ/წელს გამოკვლეულია ,, B '' , ,,C '' ჰეპატიტზე, შიდსზე და სიფილისზე 167 ორსული, გამოკვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა ჰეპატიტ ,, B '' –4 შემთხვევა . ,,C '' ჰეპატიტზე გამოკვლეულ იქნა 4241 სტაციონალური და ამბულატორიული ავადმყოფი, გამოვლინდა ,, C '' ჰეპატიტის 62 შემთხვევა.შემდგომი გამოკვლევა და მკურნალობა ჩაიტარა 33 პაციენტმა.
2022 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას შემთხვევები არ დაფიქსირებულა.
2022 წელის 6 თვეშ რეგისტრირებულია ტუბერკულიოზის 5 შემთხვევა. მ.შ. ყველა შემთხვევაზე ჩატარებულია ეპიდ.კვლევა, გამოკვლეული იქნა 11 კონტაქტი .
რეგისტრირებული ტუბ.შემთხვევები გადანაწილდა შემდეგნაირად:
კაბალი -4
მაწიმი-1
რეგისტრირებულია ბრუცელოზის 2 შემთხვევა. დაავადების მიზეზი არის თერმულად არასაკმარისად დამუშავებული ხორცი და რძის პროდუქტები.
შემთხვევები უბნების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:
თელა-1
ლაგოდეხი-1
2022 წლის 6 თვეში განმავლობაში რეგისტრირებულია სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 4 შემთხვევა,
გრიპის – 324 და მწვავე რესპ. დაავად.2103 შემთხვევა.
2022წელს დაკბენილია 241 პაციენტი. ვაქცინაცია ჩაუტარდა 241 , მათ შორის სრული კურსი – 48, არასრული –193.
გაიხარჯა 679 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 204 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი.
დადასტურდა ცოფის 3 შემთხვევა: 2-ძაღლში,1-მაჩვი.
2022 წლის 6 თვეში მალარიის კონტროლისა და პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამით მალარიაზე გამოკვლეული იქნა 78 სისხლის სქელი წვეთი და ნაცხი.
2022 წელის 6 თვეში ჰელმინთებზე ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნა 389 ბავშვი,აქედან ინვაზირებულია 14 .
ქვეყანაში ახალი კორონავირუსის შემოტანის და გავრცელების მიზნით ააიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აწარმებდნენ თვითიზოლაციაში მყოფი ბენეფიციარების მეთვალყურეობას.
6 თვის განმავლობაში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა 11752 მოქალაქე.დადასტურებული იქნა კოვიდინფიცირების 4088 შემთხვევა, გარდაიცვალა-2.
ინფიცირებული 4088 შემთხვევიდან კოვიდკლინიკებში მკურნალობდა -1200 .ბინაზე მკურნალობდა ჯეოჰოსპიტალის ექიმების მიერ-2888.
კოვიდ დადებითები თვეების მიხედვით:
იანვარში-925
თებერვალში-2551
მარტში-530
აპრილში-62
მაისში-14
ივნისი-6
კოვიდინფიცირებულთა შემთხვევები უბნების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:
ლაგოდეხი-1172
შრომა-კავშირი-234
მაწიმი-რაჭისუბანი-143
აფენის ზონა(აფენი,გიორგეთი,არეშფერანი)-400
ლელიანი-59

ვარდისუბნის ზონა-472
კართუბანი-248
ცოდნისკარი-242
ბაისუბანი-251
ნინიგორი-196
თელა-92
ჭიაურის ზონა-269
კაბალი-310

6 თვეში საზ.ჯანდაცვის სამსახურში გამოკვლეულია პ.ჯ.რ.ტესტირებით და სწრაფი ტესტირებით ანტიგენზე (შსსდაქვემდებარებული უწყებების თანამშრომლები,მედიცინის მუშაკები,საბაჟო-გამშვები პუნქტის თანამშრომლები, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის მძღოლები,შშმპ მომსახურე პერსონალი,თავშესაფრის ბენეფიციარები,მინდობით მიმღები პირები და ბავშვები,სკოლამდელი აღზრდის და სკოლის დაწესებულებების თანამშრომლები .

კელაპტარში კოვიდ.ტესტირება ანტიგენზე ჩაუტარდა-90,დადებითი-14.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოვიდ.ინფიცირების გამო სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანილი იქნა: მაწიმის,ლაგოდეხის N1,N3,შრომის,ნინიგორის,ცოდნისკარის,თამარიანის,ვარდისუბნის,აფენის N1 და N2,გვიმრიანის და ყარაჯალის სკოლები.

დაიხურა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები: ლაგოდეხის N1 და აფენის ბაგა-ბაღები,მსხალგორის ბაღი.

რაც შეეხება კოვიდ-19 ვაქცინაციას,მიმდინარე წელს ვაქცინირებულია1994 ბენეფიციარი.

6 თვეში ჩატარდა წყალსატევების პასპორტიზაცია.

წყალსატევების ფიზიკური ფართია 1325 ჰა,
ანოფელოგენური ფართია -973,3
მდინარის ნაპირების და ჭალის წყლები -104,6 ჰა
თევზსაშენი ტბები -544,9 ჰა
არხები -151,5 ჰა
დანარჩენი -363 ჰ.

6 თვეში შესრულებულია შემდეგი საბონიფიკაციო სამუშაოები:

1. გამოკვლეულია წყალსატევები -180 ჰა
2. გავრცელებულია თევზი გამბუზია -90,2ჰა
3. გამოკვლეულია სადგომები და ბინები -1800 მ²

6 თვეში შემოწმებული იქნა სკოლამდელი აღზრდის 26 და 30 სასკოლო დაწესებულება. საბავშვო ბაღებიდან დასრულებულია მშენებლობა სოფ.თელის,ბაისუბნის და კართუბნის N2 საბავშვო ბაღებში.კაპიტალურად გარემონტდა და დაიწყო ფუნქციონირება ლაგოდეხის N3 საბავშვო ბაღმა.დასრულებულია ასევე, კაბლის საბავშვო ბაღი,დანარჩენ ბაღებში ყველგან მოწესრიგებულია სველი წერტილები და სამზარეულოები.

რაიონში არსებული საჯარო სკოლიდან მ/წელს სველი წერტილები მოწესრიგდა სოფ.უზუნთალის,არეშფერანის და ნინიგორის სკოლებში.აღნ.სკოლებში სველი წერტილები განთავსდა შენობაში და აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით.

ყველა სკოლაში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ორგანიზებულია შენობაში შემსვლელთა რეგისტრაცია,ყოველდღიური თერმოსკრინინგი,მოწყობილია საიზოლაციო სივრცე,პერსონალმა იცის სიცხიანი ბენეფიციარების შემდგომი გადამისამართების წესები. აქვთ საკმარისი რაოდენობის სადეზინფექციო საშუალებები.

მიმდინარე წელს შემოწმებულია 17 სილამაზის სალონი.ყველა სალონში დაცულია კოვიდსაწინააღმდეგო ეპიდრეჟიმის წესები.არცერთი სალონის მეპატრონის მიმართ საჯარიმო სანქციერება არ მომხდარა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის სამსახურის მ/შ: /ზ.ხელაძე/